ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრების:

1. ირაკლი ნადირაძის
2. მარინა დათუკიშვილის
3. თეიმურაზ გრიგალაშვილის
4. სევდია უგრეხელიძის

2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

2017 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა 2016 წლის 23 ოქტომბერს გამართეს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინეს ანგარიში გაწეული მუშაობის

შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხეს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს და მოისმინეს მათი წინადადებები სამომავლო გეგმების შედგენასთან დაკავშირებით.

ფრაქციის წევრები მონაწილეობენ საკრებულოს შემდეგი კომისიების მუშაობაში:

ირაკლი ნადირაძე (ფრაქციის თავმჯდომარე):

1. ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
2. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

მარინა დათუკიშვილი

1. გარემოს დაცვის კომისია;
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

თეიმურაზ გრიგალაშვილი

1. სარევიზიო კომისია;
2. ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია.

სევდია უგრეხელიძე

1. იურიდიულ საკითხთა კომისია;
2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით ფრაქციის წევრების მიერ თბილისის მერიას, მერიის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებს, თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გაეგზავნათ 211 განცხადება.

ფრაქციის წევრების მიერ, მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი პრობლემების შესწავლისა და სათანადო რეაგირების მიზნით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს გაეგზავნათ 83 წერილი.

ფრაქციის წევრების მიერ თბილისის საკრებულოში მიღებული იქნა 131 მოქალაქე, თბილისის სხვადასხვა უბნებში. მოსახლეობასთან გაიმართა არაერთი შეხვედრა. ჩატარებული იქნა ფრაქციის 14 სხდომა.

მოსამართლე ნაზღაიძის ძმისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის საქმეზე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ" თბილისის ქონების დასაბრუნებლად მიმართა კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საშუალებას, საკრებულოს სხვა ოპოზიციურ ფრაქციებთან ერთად მოამზადა განკარგულების პროექტი (თანამომხსენებელი მარიკა დათუკიშვილი) ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე ინფორმაციის მისაღებად დაბარებული იყვნენ თბილისის მთავრობის წევრები, რიგგარეშე ანგარიშის წარსადგენად საკრებულოში დაბარებული იქნა თბილისის მერი დავით ნარმანია, საქმე შესასწავლად გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას, შიდა აუდიტის სამსახურს, სარჩელი წარედგინა სასამართლოს, განხორციელდა შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

„თავისუფლების მოედანთან" მდებარე მიწის ნაკვეთისა და ოქროყანაში მდებარე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო მიწის ნაკვეთებისათვის ფუნქციური სტატუსის მოხსნისა და შემდგომ ამ ნაკვეთების ბიძინა ივანიშვილის კომპანიებისთვის გადაცემის თაობაზე მიღებული საკრებულოს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვა ოპოზიციურ ფრაქციებთან ერთად წარედგინა ადმინისტრაციული სარჩელი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით წარმოებაში არის მიღებული და განხილვის მოლოდინში იმყოფება.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" არის ანაზღაურების გარეშე დარჩენილი ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგად დაზარალებული პირებისთვის დახმარების გაცემის მიზნით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის განკარგულების პროექტის ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორი (მომხსენებელი

სევდია უგრეხელიძე), რომელიც უარყოფილი იქნა თბილისის საკრებულოში „ქართული ოცნების" წევრების მიერ

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტიურობამ მეტწილად განაპირობა „ბავშვთა სამყაროს" ხანძრით დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემის საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები რეგულარული ბრიფინგებით, მასმედიის საშუალებით გაკეთებული განცხადებებით ახდენენ თბილისის მოსახლეობისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებას თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვაზე, თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვის თაობაზე, თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკის შესახებ, თბილისის მოსახლეობის სოციალური დაცვის, მუნიციპალიტეტის სხვა საჭირო და პრობლემურ საკითხებზე.

ირაკლი ნადირაძე

მარინა დათუკიშვილი

თეიმურაზ გრიგალაშვილი

სევდია უგრეხელიძე